__ძალაში შესვლის თარიღი: 09.02.2024 წ __

ზოგადი წესები მძღოლებისთვის

შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ მოცემული დოკუმენტი, შესაძლო სამომავლო საჭიროებისთვის. წინამდებარე ზოგად წესებში წარმოდგენილია Bolt-ის აპლიკაციის გამოყენების მარეგულირებელი მთავარი წესები და პირობები. Bolt-ის აპლიკაციის გამოყენებით სატრანსპორტო მომსახურების გაწევის მიზნით, თქვენ უნდა დაეთანხმოთ ქვემოთ ჩამოთვლილ წესებსა და პირობებს.

1. განმარტებები

1.1. შეთანხმება - ეხება სატრანსპორტო სერვისების პროვაიდერსა და Bolt-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას Bolt Services-ის გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოიცავს:

1.1.1. წინამდებარე ზოგად პირობებს;

1.1.2. შესაბამის გაიდლაინებს, თუ აღნიშნული ხელმისაწვდომია; და

1.1.3.წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ნებისმიერ სხვა პირობას, პერიოდული ცვლილებების გათვალისწინებით.

1.2. **Bolt** (ასევე მოხსენიებული როგორც "ჩვენ" ან "ჩვენი") – Bolt Operations OÜ ესტონეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომლის რეგისტრაციის კოდია 14532901, რეგისტრირებული ოფისის მისამართია: ვანა-ლოუნა 15, ტალინი 10134 ესტონეთის რესპუბლიკა.

1.3. **Bolt App** - სმართფონი/ელექტრონული აპლიკაცია სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერებისთვის, იმ უფლებამოსილი პირებისთვის, რომლებიც მოქმედებენ სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერებისა და/ან მგზავრების სახელით, რათა მოითხოვონ და მიიღონ სატრანსპორტო მომსახურება ან ნებისმიერი სხვა სერვისი, რომელიც ხელმისაწვდომია Bolt აპლიკაციის საშუალებით თქვენს ბაზარზე.

1.4. **Bolt Driver** ანგარიში - წვდომა ვებსაიტზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციასა და დოკუმენტებს Bolt სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით სატრანსპორტო სერვისების მიწოდების პროცესში, მათ შორის მოიაზრება სააღრიცხვო დოკუმენტაცია. სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერს შეუძლია წვდომა Bolt Driver-ის ანგარიშზე https://partners.bolt.eu მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანით.

1.5. **Bolt Fee** – საფასური, რომელიც სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერმა უნდა გადაუხადოს Bolt-ს Bolt-ის სერვისებით სარგებლობისთვის.

1.6. **Bolt** პლატფორმა - ეკოსისტემა, რომელიც დაფუძნებულია Bolt აპლიკაციებზე, Bolt Driver Account-ზე, Fleet Owner Portal-ზე და Bolt-ის სხვა პროგრამულ უზრუნველყოფაზე ასევე ვებ პორტალებზე, ხსენებული მოიცავს თავად პროგრამულ უზრუნველყოფას, აპლიკაციებსა და პორტალებს, მათ მრავალფეროვან ფუნქციონალებთან ერთად. ეს ელემენტები ერთობლივად ქმნიან საფუძველს ციფრული ბაზრისთვის, რომელიც მხარს უჭერს Bolt Services-ს.

1.7. **Bolt** სერვისები – სერვისები, რომლებსაც Bolt გთავაზობთ, Bolt პლატფორმის უზრუნველყოფა და შენარჩუნება, აპლიკაციის შიგნით/ელექტრონული გადახდის სისტემის გამართვა, მომხმარებელთა მხარდაჭერის უზრუნველყოფა, კომუნიკაცია სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერსა ან ნებისმიერ უფლებამოსილ პირს შორის, რომელიც მოქმედებს სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერის სახელით, მათ შორის მოიაზრება მგზავრი და სხვა მსგავსი სერვისები.

1.8. **მძღოლი** – პირი, რომელიც იყენებს Bolt პლატფორმას სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერის სახელით.

1.9. **ტარიფი** – საფასური, რომელიც მგზავრმა უნდა გადაუხადოს სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებელს სატრანსპორტო მომსახურების გაწევისთვის.

1.10. **ავტოპარკის მფლობელის პორტალი** – პლატფორმა, რომელიც სთავაზობს სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერს ცნობებს მის ოპერაციებზე ან უზრუნველყოფს მესამე მხარის კომპანიას ხილვადობას სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერების საქმიანობაზე.

1.11. **აპლიკაციით გადახდა** – ბარათები, ოპერატორის ბილინგი და სხვა გადახდის მეთოდები, რომელსაც მგზავრი იყენებს Bolt აპლიკაციის საშუალებით ტრანსპორტირების სერვისის

საფასურის გადასახდელად.
1.12. **მგზავრი** - ადამიანი, რომელიც ითხოვს სატრანსპორტო მომსახურებას Bolt App Platform-ის გამოყენებით/მეშვეობით.
1.13. **აკრძალული ნივთები** - წინამდებარე წესებისა და პირობების 4.19 პუნქტში ჩამოთვლილი ნივთები, რომლებიც როგორც მგზავრებს და სატრანსპორტო სერვისის მიმწოდებელს, ასევე სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერის სახელით მოქმედ მძღოლებს ეკრძალებათ გადაიტანონ/ატარონ/გამოიყენონ/გააგზავნონ/ სატრანსპორტო სერვისებით სარგებლობისას, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.
1.14. **Tip** — მგზავრის სურვილით, მისი შეხედულებისამებრ, მადლიერების ნიშნად დატოვებული დამატებითი თანხა.
1.15. **სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერი** (ასევე მოხსენიებული, როგორც „თქვენ") – პირი, რომელიც უზრუნველყოფს სატრანსპორტო მომსახურებას და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სერვისებს, რომლებიც რეგულირდება ცალკეული პირობებით Bolt პლატფორმის მეშვეობით.
1.16. **სატრანსპორტო მომსახურება** – სატრანსპორტო სერვისი, რომელსაც აწვდის სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერი მგზავრს, რომლის მოთხოვნაც მიღებულია სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერის ან მძღოლის მიერ, რომელიც მოქმედებს სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერის სახელით Bolt აპლიკაციის საშუალებით.
2. ხელშეკრულებაში შესვლა
2.1. Bolt სერვისებით სარგებლობამდე უნდა გაიაროთ რეგისტრაცია, წარმოადგინოთ მოთხოვნილი ინფორმაცია ვებ-გვერდზე განთავსებულ შესაბამის აპლიკაციაში და ატვირთოთ ჩვენს მიერ მოთხოვნილი საჭირო დოკუმენტაცია. დარეგისტრირება შესაძლებელია როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირის სახით. რეგისტრაციის წარმატებით გავლის შემდეგ Bolt უზრუნველყოფს თქვენთვის პირად ანგარიშს, რომელზე წვდომა შესაძლებელი იქნება მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. „რეგისტრაციის გავლის" ღილაკზე დაჭერით, უფლებამოსილების მიმღები ადასტურებს რომ:
2.1.1. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თქვენ უფლება გაქვთ დადოთ ხელშეკრულება ჩვენთან რათა გამოიყენოთ Bolt პლატფორმა სატრანსპორტო სერვისების უზრუნველსაყოფად;
2.1.2. თქვენ ყურადღებით შეისწავლეთ, სრულად გესმით და ეთანხმებით, რომ წარმოგექმნათ ვალდებულებები წინამდებარე ხელშერულების საფუძველზე;
2.1.3. ყველა ინფორმაცია, რომელიც თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედმა მძღოლებმა მოგვაწოდეს, არის ზუსტი, სწორი და სრული;
2.1.4. თქვენ და თქვენი სახელით მოქმედი ნებისმიერი მძღოლი ვალდებულია შეინარჩუნოთ სიზუსტე Bolt Driver-ის ანგარიშში და, საჭიროების შემთხვევაში, ავტოპარკის მფლობელის ანგარიშში. აუცილებელია პროფილის ინფორმაციის მუდმივად განახლება.
2.1.5. თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედი ნებისმიერი მძღოლი არ უნდა აძლევდეთ უფლებას სხვა პირებს გამოიყენონ თქვენი Bolt Driver ანგარიში და, საჭიროების შემთხვევაში, ავტოპარკის მფლობელის პორტალის ანგარიში, შესაბამისად არ უნდა მოხდეს აღნიშნულის გაცემა სხვა პირზე; ყველანაირი პასუხისმგებლობა ანგარიშის მესამე პირისათვის გადაცემაზე/ანგარიშზე მესამე პირის წვდომაზე ეკისრება ანგარიშის მფლობელ მძღოლს;
2.1.6. თქვენ და თქვენი სახელით მოქმედმა ნებისმიერმა მძღოლმა თავი შეიკავოთ Bolt სერვისების არაავტორიზებული ან უკანონო მიზნებისთვის გამოყენებისგან და ისეთი ქმედებებისგან რომელიც დააზარალებს Bolt სერვისების გამართულ მუშაობას.
2.1.7. ნებისმიერ დროს, თქვენ და თქვენი სახელით მოქმედი ნებისმიერი მძღოლის მიერ განხორციელებული ქმედება სრულად უნდა შეესაბამებოდეს ყველა კანონსა და რეგულაციას, რომელიც მოქმედებს ქალაქში/იურისდიქციაში/სახელმწიფოში, სადაც თქვენ აწვდით სატრანსპორტო მომსახურებას. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, კანონებით, რომლებიც არეგულირებენ სამგზავრო ტრანსპორტირების მომსახურებას.
2.1.8. თქვენი და თქვენი სახელით მოქმედი მძღოლების ასაკი უნდა იყოს 18 წელს მიღწეული.

2.2. რეგისტრაციის გავლისას, საბანკო დეტალების შევსებისას თქვენ ვალდებული ხართ მიუთითოთ საბანკო ანგარიში. თუ ანგარიშის მფლობელი იურიდიული პირია, მან უნდა მიუთითოს კომპანიის საბანკო ანგარიში. Bolt ახორციელებს აპლიკაციით გადახდილი თანხების ტრანზაქციას იმ საბანკო ანგარიშზე რომელსაც თქვენ გვაწვდით. Bolt არ აგებს პასუხს არასწორ ტრანზაქციაზე თუ კი თქვენ მიერ მოწოდებული საბანკო ანგარიში არასწორია.
2.3. აპლიკაციის შევსების შემდეგ თქვენ მიიღებთ ელექტრონულ ფოსტას დამატებითი პირობებით, რომელიც საჭიროა Bolt-ის სერვისით მომსახურების გაწევისთვის. ეს მოთხოვნები შესაძლოა იყოს, ცნობა ნასამართლეობის შესახებ, მოქმედი მართვის მოწმობა, ავტომობილის დამაკმაყოფილებელი ტექ-დათვალიერების სერთიფიკატი, აპლიკაციის გამოყენების სასწავლო კურსის გავლა, GPS- ის მხარდაჭერის მქონე მობილური მოწყობილობის ქონა და სხვა პირობები რომლებიც აღწერილი იქნება შესაბამის ელექტრონულ წერილში. მოთხოვნების სრულად არ წარდგენის შემთხვევა გამოიწვევს ხელშეკრულების გაუქმებას და Bolt-ის აპლიკაციის გამოყენების უფლების შეზღუდვას.
2.4. თქვენ ეთანხმებით, რომ კონკრეტულ ქალაქებსა და ქვეყნებში Bolt Operations OÜ-მ შესაძლოა თავისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები გადააბაროს Bolt ჯგუფის კომპანიებს. უფლებებისა და ვალდებულებების გადაბარება შესაძლოა მოიცავდეს აპლიკაციის შევსებისა და რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის გადახედვას, ტრეინინგს, Bolt-ის მოსაკრებლის შეგროვებას, შუამავლობას აპლიკაციით გადახდისას, Bolt-ის აპლიკაციის ლიცენზირებასა და სხვა.
2.5. სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერს, რომელიც ექვემდებარება წინამდებარე ზოგად პირობებს, უფლება აქვს დაარეგისტრიროს ანგარიშები მისი მძღოლებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სატრანსპორტო მომსახურებას Bolt პლატფორმის მეშვეობით იმ სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერის სახელით, რომელიც ვალდებულია ამ ზოგადი პირობებით. ასეთ შემთხვევებში, სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერი პასუხისმგებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ მისი სახელით მოქმედი მძღოლები იცავენ ხელშეკრულებაში ასახულ პირობებს და სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერსა და Bolt-ს შორის არსებულ ნებისმიერ დამატებით შეთანხმებას. სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერი იტოვებს ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას მისი სახელით მოქმედი მძღოლების მიერ განხორციელებულ ქმედებაზე.

3. Bolt APP-ის, Bolt DRIVER ACCOUNT-ისა და Bolt FLEET OWNER PORTAL-ის გამოყენების უფლება.

3.1. Bolt APP-ის, Bolt Driver ანგარიშის და Bolt Fleet Owner Portal-ის გამოყენების უფლებამოსილება. თქვენი შეთანხმების შესაბამისად, ჩვენ გაძლევთ თქვენ და თქვენი სახელით მოქმედ მძღოლებს არაექსკლუზიურ უფლებამოსილებას/ლიცენზიას Bolt აპლიკაციის გამოყენებისა და, საჭიროების შემთხვევაში, Bolt Driver ანგარიშის და/ან Bolt Fleet მფლობელის პორტალზე მხოლოდ კავშირის, Bolt სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული უფლებამოსილება არ გაძლევთ თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედ პირებს უფლებას განახორციელოთ უფლების გადაცემა/ქველიცენზირება მესამე პირებზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერს, რომლის სახელითაც უზრუნველყოფილია სატრანსპორტო სერვისები, შეუძლია ქველიცენზირება გაუწიოს Bolt აპლიკაციას და Bolt Driver-ის ანგარიშს შესაბამის მძღოლებზე.
3.2. Bolt აპლიკაციის და/ან, თუ ეს შესაძლებელია, Bolt Driver ანგარიშის და/ან Bolt Fleet Owner Portal-ის გამოყენებისას თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედ მძღოლებს ეკრძალებათ:
3.2.1. დემონტაჟი, დაშლა (შებრუნებული ინჟინერია) და/ან Bolt-ის აპლიკაციის, Bolt Driver ანგარიშის, Bolt Fleet Owner Portal-ის, ან Bolt-ის კუთვნილი ნებისმიერი სხვა პროგრამული უზრუნველყოფის წყაროს კოდის მიღების მცდელობა;
3.2.2. Bolt აპის, Bolt Driver ანგარიშის ან Bolt Fleet Owner Portal-ის ნებისმიერი ფორმით შეცვლა, ან Bolt აპლიკაციის, Bolt Driver ანგარიშის ან Bolt Fleet Owner Portal-ის შეცვლილი ვერსიების გამოყენება;
3.2.3. ფაილების გადაცემა, რომლებიც შეიცავს ვირუსებს, დაზიანებულ ფაილებს ან სხვა

პროგრამებს, რომლებმაც შეიძლება დააზიანოს ან უარყოფითად იმოქმედოს Bolt პლატფორმის ოპერაციებზე;
3.2.4. Bolt App-ზე, Bolt Driver-ის ანგარიშზე, Bolt Fleet Owner Portal-ზე ან Bolt-ის ნებისმიერ სხვა სერვისზე არაავტორიზებული წვდომის მცდელობა.
3.3. წინამდებარე ზოგადი პირობების 3.1 პუნქტში მითითებული უფლებამოსილება/ლიცენზია ავტომატურად და ხელშეკრულების შეწყვეტასთან ერთად უქმდება. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ თქვენ და თქვენს სახელით მოქმედმა ნებისმიერმა მძღოლმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოთ Bolt აპლიკაციის და, საჭიროების შემთხვევაში, Bolt Driver ანგარიშის და/ან Bolt Fleet Owner Portal-ის გამოყენება.
3.4. Bolt-ის სასაქონლო ნიშნის გამოყენება. ჩვენ შეიძლება მოგაწოდოთ თაგები, ეტიკეტები, სტიკერები ან სხვა ნიშნები, რომლებიც დაკავშირებულია Bolt-ის სასაქონლო ნიშანთან ან სხვაგვარად უთითებდეს, რომ თქვენ იყენებთ Bolt პლატფორმას. ჩვენ გაძლევთ. არაექსკლუზიური, არასუბლიცენზირებად, გადაცემის გარეშე ლიცენზიას ასეთი სასაქონლო ნიშნების გამოსაყენებლად მხოლოდ იმ მიზნით, რომ აღქმადი იყოს, თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედი ნებისმიერი მძღოლის შემთხვევაში, რომ თქენ აწვდის სატრანსპორტო მომსახურებას Bolt პლატფორმის მეშვეობით. შეთანხმების შეწყვეტის შემდეგ, თქვენ მოგეთხოვებათ სასწრაფოდ ამოიღოთ და გააუქმონ Bolt-ის ბრენდზე მითითებული ყველა თქვენს ხელთ არსებული სასაქონლო ნიშანი.
3.5. ყველა საავტორო უფლება და სავაჭრო ნიშანი, წყაროს კოდის, მონაცემთა ბაზების, ლოგოების და ვიზუალური დიზაინის ჩათვლით, ეკუთვნის Bolt-ს ან ლიცენზირებულია Bolt-ის მიერ და დაცულია საავტორო უფლებების, სავაჭრო ნიშნების და/ან სავაჭრო საიდუმლოების/კონფიდენციალურობის კანონებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებებით. Bolt პლატფორმის ან Bolt-ის სხვა სერვისების გამოყენებით თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედი მძღოლები არ იძენთ საკუთრების უფლებას რომელიმე ინტელექტუალურ საკუთრებაზე.
3.6 Rooting-ში, jailbreaking-ში ჩართვა ან ოპერაციული სისტემის დონეზე ტექნიკის მოდიფიკაცია ნებისმიერი ფორმით, რომელიც ეწინააღმდეგება მწარმოებლის მითითებებს და უქმნის მოწყობილობას ტექნიკურ საფრთხეს. თქვენ აღიარებთ, რომ ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე, რომელიც დაკავშირებულია ასეთი მოდიფიცირებული მობილური მოწყობილობის გამოყენებასთან და რომ ჩვენ არ გვაქვს ვალდებულება, მხარი დავუჭიროთ ასეთი მოწყობილობის გამოყენებას.
3.7. თქვენ არ გაქვთ უფლება, მისცეთ რომელიმე სხვა მხარეს შესაძლებლობა გამოიწვიოს რაიმე პროგრამის და/ან სკრიპტის გაშვება Bolt-ის მობილური აპლიკაციების და/ან ვებსაიტების ან მონაცემების ამოღების, ინდექსირების, კვლევის ან სხვაგვარად მონაცემთა მოპოვების მიზნით.
3.8. Bolt-ის პლატფორმაზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, Bolt-მა შეიძლება მოსთხოვოს სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერს ან მძღოლს, რომელიც მოქმედებს სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერის სახელით, გადაამოწმოს სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერის ვინაობა ან მძღოლის ვინაობა, რომელიც მოქმედებს სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერის სახელით. აღნიშნულის მიზანია იმის დადასტურება, რომ ადამიანი, რომელიც იყენებს Bolt App-ს, არის ნამდვილად იგივე ადამიანი, რომლის ინფორმაციაც მოწოდებულია რეგისტრაციისას. პირი ვერ შეძლებს სატრანსპორტო მომსახურების გაწევას, სანამ სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერი ან მძღოლი, რომელიც მოქმედებს სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერის სახელით, არ გაივლის აღნიშნული გადამოწმების პროცესს. თუ სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერი ან მძღოლი, რომელიც მოქმედებს სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერის სახელით, ვერ გაივლის გადამოწმების პროცესს, შესაბამისი პირის Bolt Driver ანგარიში შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს, მოცემული ვითარებიდან გამომდინარე.
__4. სატრანსპორტო მომსახურების გაწევა __
4.1. თქვენ აცნობიერებთ, რომ არსებობს ხელშეკრულება, რომელიც განსხვავებულია თქვენსა და

მგზავრს შორის დადებული ხელშეკრულებისგან, როდესაც შესრულდება შემდეგი პირობები: როდესაც მგზავრი განახორციელებს შეკვეთის მოთხოვნას, შესაბამისად მგზავრი გიწვევთ/გიძახებთ თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედ მძღოლებს ტრანსპორტირების უზრუნველყოფად. ეს გახლავთ სერვისი რომლებსაც Bolt-ი გადმოგცემთ თქვენ, როგორც სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერის კომერციულ აგენტს. როდესაც თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედი მძღოლი მიიღებს შეთავაზებას, მგზავრი ავტომატურად თანახმაა, რომ ამას მიიღებს თქვენი სახელით ან თქვენი სახელით მოქმედი მძღოლის მიერ, თუ მგზავრი არ გააუქმებს შეკვეთას შესაბამის ვადაში. თქვენსა და მგზავრს შორის ხელშეკრულება რეგულირდება Bolt App-ში თქვენთვის ნაჩვენები ინფორმაციისა და ადგილობრივი/მოქმედი კანონმდებლობით.
4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით თქვენ გარანტიას იძლევით, რომ უზრუნველყოფთ სატრანსპორტო მომსახურებას იმ ტერიტორიაზე/ქალაქში/სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, სადაც თქვენ ხართ რეგისტრირებული. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენ სრულად ხართ პასუხისმგებელი ადგილობრივი/მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების ნებისმიერ დარღვევაზე, რაც შეიძლება წარმოიშვას სატრანსპორტო სერვისის მიწოდებისას.
4.3. თქვენ და, საჭიროების შემთხვევაში, თქვენი სახელით მოქმედი მძღოლები, უნდა ფლობდეთ ყველა ლიცენზიას (მათ შორის მოქმედ მართვის მოწმობას), ნებართვას, ავტომობილის დაზღვევას, პასუხისმგებლობის დაზღვევას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სარეგისტრაციო ცნობებს, სერტიფიკატს და სხვა დოკუმენტაციას, რომელიც აუცილებელია მოქმედ იურისდიქციაში სატრანსპორტო მომსახურების მიწოდებისათვის. თქვენ პასუხისმგებელი ხართ იმაზე, რომ ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის მოქმედების ვადა იყოს ძალაში. Bolt უფლებას იტოვებს მოითხოვოს თქვენგან მტკიცებულებების წარმოდგენა და ყველა აუცილებელი ლიცენზიის, ნებართვის, თანხმობის, ავტორიზაციის, რეგისტრაციის და სერტიფიკატის განსახილველად წარდგენა და ასევე მათი განახლება.
4.4. თქვენ და, საჭიროების შემთხვევაში, თქვენი სახელით მოქმედმა მძღოლებმა უნდა უზრუნველყოთ სატრანსპორტო მომსახურება პროფესიულად სატრანსპორტო მომსახურებისთვის მოქმედი ეთიკური ნორმების შესაბამისად და შეასრულოთ კლიენტის მოთხოვნა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, თქვენ უნდა (i) აირჩიოთ მომხმარებლისათვის ყველაზე ნაკლებ ღირებული მარშრუტი, თუ კლიენტი სხვაგვარად არ მოითხოვს; (ii) არ გაქვთ უფლება უნებართვო გაჩერებაზე; (iii) გეკრძალებათ სხვა მგზავრის წაყვანა ავტომანქანით, გარდა მომხმარებლისა და მისი თანმხლები პირებისა და (iv) ვალდებული ხართ, დაიცვათ მოქმედი საგზაო წესების აქტები და რეგულაციები, ანუ არ განახორციელოთ ისეთი ქმედება, რომელმაც შესაძლოა შეაფერხოს ავტომანქანის მართვა ან საგზაო მოძრაობის პირობების აღქმა, მათ შორის, გადაადგილების დროს ხელში არ უნდა გეჭიროთ ტელეფონი.
4.5. თქვენ და, საჭიროების შემთხვევაში, თქვენი სახელით მოქმედი მძღოლები, იტოვებთ უფლებას განსაზღვროთ როდის და რა დროის მანძილზე გასწევთ სატრანსპორტო მომსახურებას. თქვენ თვითონ გადაწყვეტთ მგზავრის მიერ მოთხოვნილი შეკვეთებიდან რომელს მიიღებთ, უარყოფთ ან დააიგნორებთ.
4.6 თქვენ და, საჭიროების შემთხვევაში, თქვენი სახელით მოქმედი მძღოლები, ვალდებული ხართ გასწიოთ და იზრუნოთ იმ აღჭურვილობაზე რომელიც საჭიროა ტრანსპორტირების მომსახურების გასაწევად, მათ შორის ავტომობილზე, სმარტ მოწყობილობაზე, ინტერნეტის მოწოდებასა და სხვ. ასევე თქვენ ხართ პასუხისმგებელი იმ ხარჯებზე რომელსაც ტრანსპორტირების მომსახურების განხორციელებისას გასწევთ, მათ შორის და არა მხოლოდ, საწვავი, მობილური ინტერნეტი, სატელეფონო მომსახურების გადასახადები, ავტომობილის ამორტიზაცია, დაზღვევა, შესაბამისი კორპორატიული და ჩარიცხული თანხების გადასახადები და სხვ. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ Bolt აპლიკაციის გამოყენებისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს თქვენი მობილური "მონაცემების გეგმაში" დიდი რაოდენობით მონაცემების მოხმარება. შესაბამისად, ჩვენ რეკომენდაციას გიწევთ "მონაცემთა გეგმა" გამოიწეროთ შეუზღუდავი ან ძალიან მაღალი შესაძლებლობით. თქვენ ხართ

პასუხისმგებელი ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესახებ თქვენი სახელით მოქმედი მძღოლების ინფორმირებაზე.
4.7 თქვენ უფლებამოსილი ხართ მოითხოვოთ ანაზღაურება ყოველი ჯეროვნად შესრულებული იმ შეკვეთისთვის რომელიც განხორციელდა მგზავრის მიერ Bolt-ის აპლიკაციით გამოყენების შედეგად. მგზავრობის ღირებულება განისაზღვრება საბაზისო ფასით, იმ მანძილის გავლით რაც კონკრეტული შეკვეთის შესრულებისთვის დაფარეთ, რაც თქვენი მოწყობილობის GPS-ის მონაცემებზე დაყრდნობით ხორციელდება და ასევე იმ დროზე დაყრდნობით რაც კონკრეტული მგზავრობის განხორციელებას დასჭირდება. სტანდარტული საბაზისო ტარიფმა შეიძლება განიცადოს ცვლილება ადგილობრივ ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. აპლიკაციის შიდა გადახდის მქონდე მარკეტებზე, თქვენ შეგიძლიათ მოლაპარაკება აწარმოოთ ფასზე შესაბამისი მოთხოვნის გამოგზავნით ციფრულად ან ხელით. გარდა ამისა, თქვენ ყოველთვის გაქვთ უფლება, რომ დააკისროთ კლიენტს იმაზე ნაკლები გადასახადი, ვიდრე Bolt-ის აპლიკაციაში მითითებული ტარიფია. გაითვალისწინეთ, რომ კლიენტისთვის Bolt-ის აპლიკაციის მაჩვენებლებზე ნაკლები გადასახადის დაკისრება არ ამცირებს Bolt-ის მოსაკრებელს.
4.8 შესაძლებელია, მგზავრმა მიიღოს შეთავაზება, ისარგებლოს წარმოდგენილი შეთავაზებით, რაც საშუალებას აძლევს, დათანხმდეს ფიქსირებულ საფასურზე თქვენს მიერ შესრულებული ტრანსპორტირების მომსახურებისთვის (ე.ი.წინასწარ განსაზღვრული საფასური). წინასწარ განსაზღვრული საფასური მგზავრს ეცნობება Bolt აპლიკაციის მეშვეობით მგზავრობის დაწყებამდე, ხოლო თქვენ - მგზავრის თანხმობის შემთხვევაში, ან მგზავრობის დასრულების ბოლოს. 4.6 პარაგრაფის მიხედვით გამოთვლილი საფასური გამოყენებული იქნება წინასწარ განსაზღვრული საფასურის ნაცვლად, იმ შემთხვევაში, თუ მგზავრი მგზავრობის დაწყების შემდეგ შეცვლის დანიშნულების ადგილს, მგზავრობას მატერიალურად იმაზე მეტი დრო დასჭირდება, ვიდრე ნავარაუდევი იყო ან სხვა ფაქტორების გამო, როდესაც მოულოდნელი გარემოებები მატერიალურად მოქმედებს ტრანსპორტირების მახასიათებლებზე (მაგ. მარშრუტი გადის იმ გზაზე, რომლის გამოყენებისთვისაც დაწესებულია გადასახადი).
4.9. თუ თქვენი მოქმედების ადგილას/მარკეტზე დასაშვებია აპს-შიდა გადახდა (უნაღდო ანგარიშწორება) და თუ თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედი მძღოლი აღმოაჩენთ, რომ მოხდა შეცდომა ტარიფის/საფასურის გამოთვლაში და გსურთ შეიცვალოს აღნიშნული, თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედმა მძღოლმა უნდა წარადგინოთ პეტიცია Bolt აპლიკაციის განყოფილებაში ,,მგზავრობის საფასურის გადახედვა". თუ თქვენ არ განახორციელებთ ზემოაღნიშნულს Bolt-ი არ გადაამოწმებს მგზავრობის საფასურს და არ აგინაზღაურებთ გამოთვლით დაშვებული შეცდომისგან გამოწვეულ ზიანს. აღნიშნული წესი არ მოქმედებს მარკეტებზე სადაც გადახდა დასაშვებია მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით.
4.10. Bolt იტოვებს უფლებას დააკორექტიროს კონკრეტული შესრულებული შეკვეთის ღირებულება, თუ გამოვლინდება დარღვევა (როგორიცაა მგზავრის გრძელი მარშრუტით წაყვანა ან მგზავრობის დასრულების შემდეგ Bolt-ის აპლიკაციის მრიცხველის დაუყოვნებლივ არ გამორთვა) ან ტექნიკური ხარვეზი, რომელიც აისახა მგზავრობის საბოლოო ფასზე. Bolt ასევე იტოვებს უფლებას გააუქმოს ან შეამციროს მგზავრობის ღირებულება იმ შემთხვევაში თუ გვაქვს თაღლითობის საფუძვლიანი ეჭვი ან კლიენტის მითითება თქვენ მიერ წესების დარღვევის შესახებ. ამავდროულად Bolt მხოლოდ დასაბუთებული და სამართლიანი გზით მოახდენს მგზავრობის ღირებულების შემცირებას ან გაუქმებას.
4.11. მომხმარებელს შეუძლია გადაიხადოს მგზავრობის ღირებულება როგორც ხელზე ასევე აპლიკაციით გადახდის/უნაღდო ანგარიშწორების მეთოდით როგორც ეს აღწერილია წინამდებარე წესების მე-6 მუხლში. იმ შემთხვევაში, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი პირდაპირ, ხელზე, ნაღდი ანგარიშსწორების გზით გადაიხდის მგზავრობის საფასურს, თქვენ ვალდებული ხართ აიღოთ ეს თანხა. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ იხდის ან უარს ამბობს გადახდაზე, Bolt თქვენი სახელით გაუგზავნის შეტყობინებას მგზავრს დავალიანების შესახებ. მგზავრის მიერ, მგზავრობის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში Bolt-ი არ უზრუნველყოფს ზარალის ანაზღაურებას. იმ

შემთხვევაში, თუ ავტომანქანაში მყოფი მგზავრები არ თანხმდებიან ტრანსპორტირების მომსახურების საფასურის გადახდას, საფასურის გადახდა დაეკისრება მგზავრს, რომელმაც განახორციელა შეკვეთა სატრანსპორტო მომსახურების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ მგზავრი სათანადო მტკიცებულების საფუძველზე უარს აცხადებს საფასურის გადახდაზე, რადგან Bolt აპლიკაციაში მითითებული ინფორმაცია არასწორია, Bolt არ აგინაზღაურებთ ასეთ ხარჯებს.
4.12 გარკვეულ მარკეტებზე მგზავრებს აქვთ შესაძლებლობა, დაგიტოვოთ Tip სატრანსპორტო მომსახურების წარმატებით მიწოდების შემდეგ. მგზავრს შეუძლია დაგიტოვოთ Tip მხოლოდ Bolt-ის ავტორიზებული აპლიკაციით. Tip-ზე არ ვრცელდება Bolt-ის მოსაკრებელი. Bolt-ს შეხედულებისამებრ შეუძლია შეზღუდოს Tip-ის მაქსიმალური მოცულობა.თქვენ ვალდებული ხართ სრულად შეასრულოთ Tip-ის დატოვებისას წარმოქმნილი ყველა საგადასახადო ვალდებულება ასეთის არსებობის შემთხვევაში.
4.13. Bolt იტოვებს უფლებას, გასცეს ინვოისი ან ქვითარი, რათა აგინაზღაუროთ ნებისმიერი ტარიფი, სახელშეკრულებო ჯარიმები ან სხვა გადასახადები Bolt-ის შუამავლობით. სატრანსპორტო სერვისების ყოველი წარმატებული შესრულების შემდეგ, Bolt-ი დააგენერირებს და გამოგიგზავნით ქვითარს ან, საჭიროების შემთხვევაში, ინვოისს. ქვითარი ან, საჭიროების შემთხვევაში, სატრანსპორტო სერვისების თითოეული ინსტანციის ინვოისი თქვენთვის ხელმისაწვდომი იქნება Bolt Driver ანგარიშის მეშვეობით ან, საჭიროების შემთხვევაში, ავტოპარკის მფლობელის პორტალის მეშვეობით.
4.14. მგზავრს შეუძლია გააუქმოს სატრანსპორტო სერვისის მოთხოვნა, რომელიც სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერმა ან მისი სახელით მოქმედმა მძღოლმა მიიღო Bolt აპლიკაციის საშუალებით. ზოგიერთ ბაზარზე, სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერს შეიძლება ჰქონდეს საფასური გაუქმებული სატრანსპორტო მომსახურებისთვის (გაუქმების საფასური) იმ შემთხვევაში, თუ მგზავრი გააუქმებს სატრანსპორტო სერვისებზე მიღებულ მოთხოვნას Bolt App-ით განსაზღვრული გარკვეული პერიოდის შემდეგ. სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერს შეიძლება ჰქონდეს უფლება მიიღოს დამატებითი საფასური ლოდინის დროის გახანგრძლივების გამო (ლოდინის დროის საფასური), თუ მგზავრი გამოცხადდება სამგზავროდ Bolt აპლიკაციის მიერ განსაზღვრული პერიოდის/დროის შემდეგ, დაგვიანებით.
4.15. თუ მგზავრობისას კლიენტმა ან მისმა თანამგზავრმა დაუდევრობით, გულგრილად დააზიანა თქვენი მანქანა ან მისი აღჭურვილობა (მათ შორის დაალაქავა ავტომობილი, ან არასასიამოვნო სუნი დატოვა მასში) თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ მგზავრისგან ჯარიმის გადახდა 100 (ასი) ლარის ოდენბით და ასევე მოითხოვოთ კომპენსაცია მის მიერ მოყენებული/წარმოქმნილი ზიანისთვის. თუ კლიენტი უარს აცხადებს ჯარიმის გადახდაზე ან/და ზარალის კომპენსაციაზე, თქვენ უნდა შეგვატყობინოთ ასეთი შემთხვევის შესახებ. ამასთანავე გაითვალისწინეთ, რომ Bolt არ იღებს არავითარ ვალდებულებას/არავითარ პასუხისმგებლობას მგზავრის მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მიყენებულ ზარალზე, ავტომობილის წმენდასთან ან მოვლასთან დაკავშირებით.
4.16. თქვენი საგადასახადო ვალდებულებები. წინამდებარე პირობებით თქვენ აღიარებთ, რომ ვალდებული ხართ სრულად შეასრულოთ ყველა საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოგექმნებათ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მათ შორის: (i) საშემოსავლო გადასახადი, სოციალური დაცვის გადასახადი, ან სხვა მოქმედი/არსებული გადასახადი; და (ii) ყველა საგადასახადო ვალდებულების შესრულება შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის ანგარიშგების და გადარიცხვების წარდგენის მიზნით, მოქმედი კანონის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო უწყება წარმოგვიდგენს საფუძვლიან განცხადებას თქვენი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით, უფლებამოსილნი ვართ, საგადასახადო უწყებას მივაწოდოთ თქვენი საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია მოქმედი სამართლებრივი აქტების ფარგლებში. ამასთან, ვალდებულნი ხართ, ზედმიწევნით შეასრულოთ ტრანსპორტირების მომსახურებასთან დაკავშირებით მოქმედი ყველა საგადასახადო რეგულაცია. თანხმობას აცხადებთ, აუნაზღაუროთ

Bolt-ს ყველა სახელმწიფო მოსაკრებელი, ჯარიმა, გადასახადი, ბაჟი ან სხვა საგადასახადო ვალდებულება, რომელიც Bolt-ს დაეკისრება თქვენ მიერ შესაბამისი საგადასახადო რეგულაციების შეუსრულებლობის გამო (მათ შორის საშემოსავლო და სოციალური გადასახადები).
4.17 თუ რომელიმე აქტივობა და/ან ინფორმაცია, რომელსაც თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედი მძღოლები Bolt პლატფორმის მეშვეობით მიაწოდებენ Bolt-ს, და აღნიშნული ჩაითვლება უკანონო შინაარსის მქონე აქტივობად/ინფორმაციად და აღმოჩნდება, რომ ეწენააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას ან/და სხვაგვარად ეწინააღმდეგება წინამდებარე ზოგად წესებსა და პირობებს, ბოლტი იტოვებს უფლებას: (i) წაშალოს, შეზღუდოს წვდომა ან გააუქმოს ასეთი შინაარსის შემცველი მასალა, (ii) შეაჩეროს, შეწყვიტოს ან შეზღუდოს ნებისმიერი ფულადი გადახდა თქვენს მიმართ; (iii) შეაჩეროს ან შეწყვიტოს Bolt-ის სერვისები მთლიანად ან ნაწილობრივ და (iv) შეაჩეროს ან დახუროს თქვენი Bolt Driver ანგარიში ან, საჭიროების შემთხვევაში, თქვენი ავტოპარკის მფლობელის პორტალის ანგარიში.
4.18. Bolt-ის პლატფორმაზე ატვირთული ყველა კონტენტი ექვემდებარება მხოლოდ სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერს და Bolt არ არის ვალდებული, აქტიურად აკონტროლოს ან განიხილოს ასეთი შინაარსი. მიუხედავად ამისა, ბოლტს უფლება აქვს წაშალოს ნებისმიერი სავარაუდო უკანონო კონტენტი Bolt-ის პლატფორმაზე ასეთი შინაარსის არსებობის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ. თუ სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერი არ ეთანხმება Bolt-ის გადაწყვეტილებას კონტენტის წაშლის შესახებ, სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერი პასუხისმგებელია დაამტკიცოს, რომ კონტენტი არ არის უკანონო ან შეუთავსებელი წინამდებარე ზოგად წესებსა და პირობებთან, აღნიშნული განიხილება Bolt-ის საჩივრების განხილვის შიდა პროცედურის ფარგლებში.
4.19. Bolt-ის პლატფორმაზე უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, თქვენც და თქვენი სახელით მოქმედი მძღოლებისთვის აკრძალულია კანონის თანახმად სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთების ტარება/გადაზიდვა/გადატანა Bolt App-ისა და Bolt სერვისების გამოყენებისას, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული მოქმედ კანონებში. სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერს აქვს უფლებას უარი თქვას სატრანსპორტო სერვისების მიწოდებაზე იმ პირებისთვის, რომლებსაც აქვთ აკრძალული ნივთები ავტორიზაციის გარეშე, აღნიშნულის გამორკვევის შემთხვევაში Bolt იტოვებს უფლებას შეწყვიტოს Bolt სერვისების მიწოდება სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერისთვის და, შესაბამისად, მძღოლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ სატრანსპორტო სამსახურის სახელით. გარდა ამისა, აკრძალული ნივთების ნებისმიერი არაავტორიზებული გამოყენება შეიძლება ეცნობოს შესაბამის სახელმწიო ორგანოებს. აკრძალული ელემენტები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ:
4.19.1. ცეცხლსასროლი იარაღი და მათი ნაწილები, საბრძოლო მასალა, საბრძოლო იარაღი, სხვა ნივთები, რომლებიც სპეციალურად შექმნილია თავდასხმისა და თავდაცვისთვის;
4.19.2. აალებადი, ფეთქებადი და რადიოაქტიური ან სხვა მაიონებელი ნივთიერებები, საბრძოლო მასალები, გაზი, ინფექციური ნივთიერებები, შხამიანი ან კოროზიული მასალები, რომლებმაც თავიანთი ბუნებით შეიძლება საფრთხე შეუქმნან გარემოს;
4.19.3. ნარკოტიკები და სხვა ფსიქოტროპული ნივთიერებები, რომლებიც ექვემდებარება სპეციალურ კონტროლს კანონმდებლობის შესაბამისად;
4.19.4. ნებისმიერი სხვა ნივთი, რომლის გადატანა ან ტრანსპორტირება კანონით დაუშვებელია და ნივთები, რომელთა გადატანა ან ტრანსპორტირება შეუძლებელია დამატებითი ლიცენზიების და ნებართვების გარეშე.

5. Bolt-ის მოსაკრებელი

5.1. იმ შემთხვევაში თუ მარკეტზე, სადაც აწვდით სატრანსპორტო მომსახურებას მოქმედებს წინასწარი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება, იმისთვის რომ გამოიყენოთ Bolt-ის აპლიკაცია, თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ მოსაკრებელი. მოსაკრებლის გადახდა ხდება თქვენი ან თქვენი სახელით მოქმედი პირის მიერ შესრულებული თითოეული სატრანსპორტო მომსახურების შეკვეთის საფუძველზე. Bolt-ის მოსაკრებლის ოდენობა ცნობილი გახდება თქვენთვის

ელექტრონული ფოსტით, Bolt-ის აპლიკაციის, მძღოლის პორტალის ან სხვა შესაბამისი საშუალებებით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ Bolt-ის მოსაკრებელი შესაძლოა პერიოდულად შეიცვალოს დინამიური საკომისიოს პრინციპებიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს (i) ტრანსპორტირების სერვისზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსს, (ii) მგზავრობის მახასიათებლებს და (iii) კამპანიის პირობებს. Bolt-ის მოსაკრებელი არ უნდა გასცდეს Bolt-ის საკომისიოს დაწესებულ ზედა ზღვარს, რომლის შესახებაც ინფორმაცია მოგაწოდეთ. თუმცა, ჩვენ შესაძლოა შევცვალოთ Bolt-ის საკომისიოს ზედა ზღვარი ნებისმიერ დროს და შეგატყობინოთ ცვლილების შესახებ.
5.2. იმ შემთხვევაში თუ მარკეტზე, სადაც აწვდით სატრანსპორტო მომსახურებას მოქმედებს წინასწარი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება, თქვენ უნდა გადაუხადოთ Bolt-ს წინა თვის მოსაკრებელი და სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდეგი თვის 15 რიცხვამდე. სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში თქვენ უნდა გადაიხადოთ დაგვიანებისთვის საურავი დღეში გადაუხდელი თანხის 0.04%-ს (ნოლი მთელი ნოლ ოთხი პროცენტი) ოდენობით. თქვენ ვალდებული ხართ, დაფაროთ ჩვენ მიერ გაღებული ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ვალის ამოღების ღონისძიებებთან. (გადასახადი მარკეტზე როგორ რეგულირდება)

6. აპლიკაციით გადახდა

6.1. ჩვენ შეიძლება საშუალება მივცეთ მომხმარებლებს გადაიხადონ სატრანსპორტო მომსახურების საფასური საბანკო ბარათის მეშვეობით, მობილური კავშირის ოპერატორის მეშვეობით და სხვა მეთოდებით (Bolt Business, Bolt Balance და ა.შ) პირდაპირ აპლიკაციაში (მაგ. აპლიკაციით გადახდა). წინამდებარე პირობებით, თქვენ უფლებას გვანიჭებთ, რომ ვიმოქმედოთ როგორც თქვენმა შეზღუდულმა კომერციულმა აგენტმა, მივიღოთ მგზავრის მიერ გადახდილი ტარიფები ან სხვა საკომისიო, რომელის გადაიხადაც განხორციელდა აპლიკაციის შიდა გადახდის მეშვეობით და გამოგიგზავნოთ შესაბამისი თანხები ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად. აპლიკაციით გადახდის მეშვეობით მგზავრის მიერ საგადახდო ვალდებულებები შესრულებულად ჩაითვლება გადახდის განხორციელებისთანავე.
6.2 მგზავრობის ტარიფები და სხვა გადასახადები, რომლებიც მოხსენიებულია 6.1 პუქტში, გამოგეგზავნებათ პერიოდულად, როგორც წესი, კვირაში ერთხელ ან Bolt-ის მიერ წინასწარ შეტყობინებულ სხვა წინასწარ განსაზღვრულ/დადგენილ პერიოდში. ჩვენ გადავიტანთ ყველა მოქმედ თანხას, 6.1 პუნქტის თანახმად, რომელიც დაგროვებული იქნება თქვენი სახელით, თქვენს მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე Bolt Driver ანგარიშზე ან ავტოპარკის მფლობელის პორტალზე. Bolt იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა სტანდარტული საანგარიშო პერიოდის გარდა სხვა ინტერვალებით, Bolt-ის მიერ განსაზღვრული ლიმიტებისა და პირობების გათვალისწინებით.
6.3. თქვენ უფლება არ გაქვთ უარი თქვათ შეთავაზებაზე, თუ კლიენტის არჩევანია გადახდა განახორციელოს აპლიკაციით (უნაღდო ანგარიშწორების მეშვეობით). იმ შემთხვევაში, თუ კი თქვენ დაუსაბუთებლად განაცხადებთ უარს აპლიკაციით გადახდის (უნაღდო ანგარიშწორების) მიღებაზე, Bolt-ს უფლება აქვს ყოველ უარზე დაგაკისროთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმა 5 (ხუთი) ლარის ოდენობით ან/და განმეორების შემთხვევაში შეგიზღუდოთ უფლება გამოიყენოთ Bolt-ის აპლიკაცია.
6.4. Bolt უფლებას იტოვებს, საკუთარი შეხედულებისამებრ გაავრცელოს პრომო კოდი სარეკლამო აქციის ფარგლებში. თქვენ ვალდებულნი ხართ, დათანხმდეთ პრომო კოდის გამოყენებას, როდესაც მგზავრი შეიყვანს პრომო კოდს აპლიკაციაში ბარათით გადახდის დროს. ნაღდი ანგარიშსწორების დროს პრომო კოდი შესაძლოა არ იყოს გააქტიურებული. იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერის მხრიდან არსებობს ეჭვი პრომო კოდების თაღლითურად, უკანონოდ გამოყენების, და/ან პრომო კოდის გამოყენებასთან დაკავშირებული პირობების დარღვევის, პრომო კოდი შესაძლოა გაუქმდეს და მძღოლს სხვაობა არ ანაზღაურდეს Bolt-ის მიერ.
6.5 თუ აღნიშნული ფუნქცია ხელმისაწვდომია და მგზავრი გადაწყვეტს თქვენთვის Tip-ის

დატოვებას Bolt-ის აპლიკაციის საშუალებით, Bolt შეაგროვებს Tip-ებს მგზავრის მიერ გადახდილ საფასურსა და სხვა გადასახადებთან ერთად აპლიკაციის შიდა/უნაღდო გადახდისას/ანგარიშწორებისას. თუ Tip მიიჩნევა როგორც თაღლითური, არალეგალური, მძღოლის მიერ გაწეული სატრანსპორტო მომსახურებისთვის გამოხატული მადლიერების გარდა სხვა მიზნის მქონე საშუალება ან მძღოლის მიერ მისი გამოყენება ეწინააღმდეგება ჩვენს ზოგად წესებს, Tip დარჩება Bolt-ის საკუთრებაში.

6.6. თქვენ გაქვთ უფლება გაეცნოთ აპლიკაციის შიდა/ბარათით გადახდებს Bolt Driver, Bolt აპლიკაციაში ან ავტოპარკის მფლობელის პორტალში. აპლიკაციაში ნაჩვენები იქნება როგორც წინა კვირის გადახდები, ისე Bolt-ის მოსაკრებლის ჩამოჭრილი რაოდენობა(თუ ეს მოქმედებს იმ მარკეტზე, სადაც აწვდით სატრანსპორტო მომსახურებას). აუცილებლად შეგვატყობინეთ ნებისმიერი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჩვენს შეთანხმებაზე მგზავრობის საფასურის აპლიკაციის შიდა/ბარათით გადახდების შეგროვებასა და გადანაწილებასთან დაკავშირებით.

6.7. Bolt ვალდებული არ არის გადაგიხადოთ კლიენტის მხრიდან გადასახდელი საფასური, თუ აპლიკაციით გადახდა ვერ განხორციელდება კლიენტის საკრედიტო ბარათის ან სხვა გადახდის გაუქმების ან წარუმატებლად შესრულების შედეგად. ასეთ შემთხვევაში ჩვენ დაგეხმარებით კლიენტის მხრიდან გადასახდელი საფასურის მოთხოვნასთან დაკავშირებით და დაგირიცხავთ თანხას მას შემდეგ, რაც კლიენტი განახორციელებს მოთხოვნილ გადახდას.

6.8 სატრანსპორტო მომსახურებების გაწევამდე, თქვენ უნდა გადაამოწმოთ, რომ სერვისი მიეწოდება სწორ მგზავრს და/ან კლიენტმა დაადასტურა, რომ ის ნებას რთავს სხვა მგზავრებს იმგზავრონ მისი ანგარიშით. თქვენ და თქვენი სახელით მოქმედი მძღოლები არ ხართ ვალდებული გადაიყვანოთ მგზავრის მიერ დანიშნული პირები, თუ ისინი არ არიან სრულწლოვანთა თანხლებით და არიან 18 წელზე ნაკლები ასაკის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთ პირს საფრთხე ემუქრება ან არსებობს სხვა სერიოზული გარემოებები (მაგ. გადაუდებელი შემთხვევა), რომლიც საჭიროებს ასეთი პირის ტრანსპორტირებას. თუ თქვენ არასწორად ამოიცნობთ კლიენტს და აპლიკაციით გადახდა დაეკისრება პირს, რომელსაც არ გაეწია მომსახურება ან არ ადასტურებს სატრანსპორტო მომსახურების გაწევის ნებართვას აღნიშნული მგზავრისთვის, Bolt აუნაზღაურებს კლიენტს მგზავრობის საფასურს. ასეთ შემთხვევაში თქვენ არ გაქვთ უფლება მიიღოთ გადასახადი Bolt-სგან. გარდა ამისა, ნებისმიერი არაავტორიზებული, აპლიკაციის შიდა/უნაღდო ანგარიშწორების შემთხვევაში, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას დავაწესოთ სახელშეკრულებო ჯარიმა 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით და ასევე მოვახდინოთ თქვენს მიერ არაკეთილსიდისიერად მიღებული თანხის ჩამოჭრა Bolt ბალანსიდან.

6.9 გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ მგზავრობის თანხებსა და Tip-ებს, რომელთა გადახდა მოხდა აპლიკაციით/ბარათით, ვაკლებთ იმ რაოდენობას, რომელიც გმართებს ჩვენს მიმართ (მაგ. Bolt-ის საკომისიო და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმები). ჩვენ ვიტოვებთ უფლებას აღვასრულოთ თქვენი ნებისმიერი ფინანსური პასუხისმგებლობა Bolt ჯგუფის ნებისმიერ კომპანიასთან მიმართებით, რა შემთხვევაშიც მოვიპოვებთ უფლებას აღვძრათ სარჩელი თქვენს წინააღმდეგ.

6.10. იმ შემთხვევაში, თუ არ შეგვიძლია თქვენთვის მომსახურების საფასურის ან Tip-ის გადახდა იმის გამო, რომ თქვენ მიერ არ არის მითითებული საბანკო რეკვიზიტები თქვენს მძღოლის Bolt ანგარიშში, ან საბანკო რეკვიზიტები არასწორად არის მითითებული, ასეთ თანხას 180 დღის განმავლობაში შევინახავთ. თუ აღნიშნული 180 დღის განმავლობაში სწორ საბანკო რეკვიზიტებს არ მოგვაწვდით, ჩვენ მიერ თქვენთვის გადასახდელ თანხასთან და Tip-თან დაკავშირებული თქვენი საჩივრის ვადა ამოიწურება.

7. მხარდაჭერა

Bolt სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ უზრუნველყოფილია კლიენტის მხარდაჭერა მძღოლებისთვის. Bolt-ს უფლება აქვს შეწყვიტოს კლიენტთა მხარდაჭერის მომსახურება, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დააგვიანებთ გადასახადის გადახდას 5 (ხუთი)

კალენდარულ დღეზე მეტი ვადით. (აღნიშნული წესი თქვენზე გავრცელდება იმ შემთხვევაში თუ მარკეტზე დაშვებულია/დაწესებულია არაავტომატური გადახდის სისტემა)

8. მძღოლის ქულა და აქტივობა

8.1. პროგრამის საშუალებით მაღალხარისხიანი მომსახურებისა და თქვენი კლიენტებისთვის დამატებითი გარანტიების უზრუნველსაყოფად, თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედი მძღოლები წინამდებარე პირობებზე თანხმობით ადასტურებთ, რომ კლიენტებს შეუძლიათ შეაფასონ და დატოვონ კომენტარი თქვენს ან თქვენი სახელით მოქმედი მძღოლების მიერ მოწოდებული სატრანსპორტო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით. თქვენი ან თქვენი სახელით მოქმედი მძღოლის საშუალო ქულა დაკავშირებული იქნება თქვენს მძღოლის ანგარიშთან Bolt-ის აპლიკაციაში. თუ ჩვენ, ჩვენი შეხედულებისამებრ, ჩავთვლით, რომ შეფასება ან კომენტარი არის არაკეთილსინდისიერად გაკეთებული, ჩვენ შეგვიძლია მისი უგულებელყოფა.

8.2. გარდა რეიტინგისა, Bolt აანალიზებს თქვენი საქმიანობის დონეს და განიჭებთ ქულას აქტივობისითვის, რომელიც ეფუძნება თქვენს ან თქვენი სახელით მოქმედი მძღოლების საქმიანობას სატრანსპორტო მომსახურების შეკვეთების მიღებასთან, უარყოფასთან, რეაგირებასა და შესრულებასთან დაკავშირებით.

8.3. კლიენტებისთვის საიმედო მომსახურებების გაწევის მიზნით, Bolt-ს შეუძლია განსაზღვროს მინიმალური საშუალო რეიტინგი და მინიმალური აქტივობის ქულა, რომელიც ტრასპორტირების სერვისის მიმწოდებელმა ან მისი სახელით მოქმედმა მძღოლმა უნდა გათვალისწინოს და შეინარჩუნოს. თუ ჩვენი მხრიდან შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ, თქვენ ვერ გაზრდით თქვენს საშუალო რეიტინგს ან აქტივობის ქულას მინიმალურზე მეტად, დადგენილ ვადაში, თქვენი მძღოლის bolt ანგარიში ავტომატურად შეჩერდება დროებით ან მუდმივად. Bolt-ს შეუძლია გააუქმოს თქვენი ანგარიშის შეჩერება თუ აღნიშნული გამოწვეულია გარეშე გარემოებებით ან თუ გამოვლინდა, რომ შეჩერება გამოწვეულია სისტემის ცდომილებით ან არასწორი რეიტინგებით.

9. ბაზრის მიმოხილვა და კამპანიები

9.1. ჩვენ შეიძლება Bolt-ის აპლიკაციის, SMS-ის (მოკლე ტექსტური შეტყობინება), ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან სხვა საშუალებებით გამოგიგზავნოთ, ბაზრის მიმოხილვა, რათა გავზარდოთ თქვენი ინფორმირებულობა იმასთან დაკავშირებით, თუ როდის აღწევს კლიენტის მოთხოვნა უმაღლეს მაჩვენებელს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ასეთი საბაზრო მიმოხილვები მხოლოდ რეკომენდაციული ხასიათისაა და არ წარმოადგენს რაიმე ვალდებულებას თქვენთვის ან თქვენი სახელით მოქმედი მძღოლებისთვის. ვინაიდან ბაზრის მიმოხილვის შეფასებები ეფუძნება ადრინდელ სტატისტიკას, Bolt ვერ იძლევა რაიმე გარანტიას, რომ რეალური საბაზრო მდგომარეობა შესაბამისობაში იქნება ბაზრის მიმოხილვით გათვალისწინებულ შეფასებებთან.

9.2. ჩვენ ასევე შეგვიძლია წარვმართოთ კამპანიები, რომლის საშუალებით Bolt უზრუნველყოფს მინიმალურ შემოსავალს თქვენთვის თუ თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედი მძღოლი უზრუნველყოფთ სატრანსპორტო მომსახურებებს განსაზღვრულ ვადებში. თუ აღნიშნული მინიმალური თანხა არ არის გამომუშავებული, ჩვენ ავანაზღაურებთ სხვაობას. კონკრეტული მოთხოვნების და პირობების გაგზავნა მოხდება Bolt-ის აპლიკაციის, მძღოლის ანგარიშის, SMS-ის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საშუალებებით. Bolt-ს შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს თუ როდის და რომელი მძღოლებისთვის გააააქტიურებს ასეთ კამპანიებს. თუ Bolt-ს აქვს გონივრული მიზეზი ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ თქვენ ეწევით თაღლითურ საქმიანობას, მან შეიძლება დააკავოს თქვენი გასამრჯელო, იქამდე, სანამ თაღლითური ქმედება არ აღმოიფხვრება.

9.3. ჩვენ ასევე შეიძლება დროდადრო მოვაწყოთ სხვადასხვა კამპანიები მგზავრებისთვის Bolt პლატფორმის პოპულარიზაციის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ მგზავრების მიერ გადახდილი საფასური შემცირებულია ასეთი კამპანიის ფარგლებში, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გადაგიხადოთ კომპენსაცია მგზავრებისთვის შეთავაზებული შეღავათის ფულადი ოდენობით/სხვაობით. ჩვენ შეგვიძლია გამოვქითოთ მარკეტინგული კომპენსაცია Bolt საფასურიდან.

10. ურთიერთობები თქვენს, ჩვენსა და კლიენტებს შორის

10.1. წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე აცნობიერებთ და თანხმდებით, რომ ჩვენ

ვუზრუნველვყოფთ საინფორმაციო საზოგადოებრივ მომსახურებას და არა სატრანსპორტო მომსახურებას. Bolt პლატფორმის და Bolt სერვისების უზრუნველყოფით ვმოქმედებთ, როგორც მგზავრების და მძღოლების მაკავშირებელი მარკეტინგული რგოლი, რათა დავეხმაროთ მათ ქალაქებში ეფექტურად გადაადგილებაში. აცნობიერებთ, რომ თქვენ ასრულებთ სატრანსპორტო მომსახურებას მგზავრთა გადაყვანის შესახებ გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე და ტრანსპორტირების მომსახურებას ასრულებთ დამოუკიდებლად ან კომპანიის მეშვეობით, ეკონომიკური და პროფესიული საქმიანობის სახით. Bolt, როგორც Bolt აპლიკაციის ოპერატორი, მოქმედებს როგორც მძღოლების კომერციული აგენტი მძღოლსა და მგზავრს შორის ხელშეკრულების შუამავლობისთ და ამით, სხვა საკითხებთან ერთად, იღებს გადახდებს მგზავრებისგან და უგზავნის მძღოლს გადახდებს.

10.2. თქვენ, აცნობიერებთ, რომ მხარეებს შორის ურთიერთობა არ წარმოადგენს შრომით ხელშეკრულებას და არც წარმოქმნის შრომითი ურთიერთობის საფუძვლებს თქვენსა და ჩვენს შორის. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ თქვენსა და ჩვენს შორის არ არსებობს ერთობლივი სამეწარმეო ურთიერთობა და/ან პარტნიორობა. თქვენ უფლებამოსილი არ ხართ იმოქმედოთ, როგორც ჩვენმა თანამშრომელმა, აგენტმა ან წარმომადგენელმა და/ან გააფორმოთ რაიმე ხელშეკრულება ჩვენი სახელით. თუ რაიმე ზემოქმედების გამო, თქვენ ჩაითვლებით ჩვენს თანამშრომლად, თქვენ თანახმა ხართ, უარი თქვათ ჩვენს წინააღმდეგ ნებისმიერ პრეტენზიაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ასეთი ნაგულისხმევი შრომითი ურთიერთობის შედეგად.

10.3. თქვენ არ გაქვთ უფლება გადასცეთ წინამდებარე ხელშეკრულება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლება ან ვალდებულება, მესამე პირს.

11. პერსონალური მონაცემების დამუშავება

11.1. თქვენი და თქვენი სახელით მოქმედი მძღოლების პერსონალური მონაცემები დამუშავდება კონფიდენციალურობის შეტყობინების მიხედვით, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე https://bolt.eu/ka-ge/privacy/privacy-for-drivers/.

11.2. Bolt-ს აქვს წვდომა ყველა იმ პერსონალურ მონაცემზე და სხვა მონაცემებზე, რომლებიც მოწოდებულია თქვენს მიერ Bolt სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით. . Bolt-მა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ნაბიჯი ასეთი მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად და დაიცვას ყველა მოქმედი კონფიდენციალურობის პოლიტიკა და კანონები. Bolt ინარჩუნებს წვდომას აღნიშულ მონაცემებზე თქვენსა და Bolt-ს შორის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ.

11.3. თქვენ და თქვენი სახელით მოქმედ მძღოლს გაქვთ წვდომა თქვენთვის მოწოდებულ ან Bolt სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პირად და სხვა მონაცემებზე, იმ მოცულობით, რაც თქვენთვის (ან თქვენი სახელით მოქმედი მძღოლისთვის) ხელმისაწვდომია Bolt ანგარიშიდან Bolt აპლიკაციის ან ავტოპარკის მფლობელის ანგარიშის საშუალებით. თქვენ უნდა გადადგათ ყველა გონივრული ნაბიჯი ამ მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად და დაიცვათ მოქმედი კონფიდენციალურობის პოლიტიკა და კანონები, რადგანაც ეს მონაცემები შეიცავს მგზავრების პირად მონაცემებს/ინფორმაციას.

12. პასუხისმგებლობა

12.1. Bolt აპლიკაციის მიწოდება ხდება “as is" და ხელმისაწვდომობის პრინციპის საფუძველზე. ჩვენ არ ვიძლევით გარანტიას, რომ წვდომა Bolt-ის აპლიკაციასთან იქნება შეუფერხებელი და ხარვეზებისგან სრულად დაცული. გამომდინარე იქიდან, რომ Bolt-ის აპლიკაციის გამოყენება დამოკიდებულია კლიენტის ქცევაზე/სურვილზე/მოთხოვნაზე, Bolt და მისი შვილობილი კომპანიები გარანტიას ვერ მოგცემენ, რომ თქვენი მხრიდან აპლიკაციის გამოყენება გარანტირებულად წარმოქმნის მომსახურების გაწევის მოთხოვნებს მგზავრების მხრიდან.

12.2. ჩვენ, Bolt-ის წარმომადგენლები, დირექტორები და თანამშრომლები არ ვართ პასუხისმგებელი რაიმე დანაკარგზე, მიყენებულ ზიანზე, წარმოქმნილ პასუხისმგებლობაზე ან ხარჯზე (მათ შორის, ნებისმიერი საფასური, ჯარიმა, ადვოკატის საფასური და ა.შ.), რომელიც შეიძლება წარმოიშვას თქვენს მიერ განხორციელებული შემდეგი ქმედებებისგან (i) თქვენ მიერ Bolt სერვისების გამოყენებისას;, (ii) თქვენ მიერ ხელშეკრულების (მათ შორის ამ ზოგადი პირობების) ან

ნებისმიერი მოქმედი კანონებისა და რეგულაციების დარღვევისას; ან (iii) თქვენს მიერ ნებისმიერი მესამე მხარის უფლებების დარღვევისას, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება:
12.2.1. ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი საკუთრების ობიექტის დაზიანებით ან ფულადი დანაკარგის წარმოქმნით;
12.2.2. მოგების დანაკარგით ან დაკარგული დანაზოგით;
12.2.3. ბიზნესის, კლიენტების, კონტრაქტების, კონტაქტების, რეპუტაციის დაკარგვით/რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნით და ნებისმიერი დანაკარგით, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას საქმიანობის შეწყვეტის შედეგად;
12.2.4. მონაცემების დაკარგვით;
12.2.5. სახელმწიფო ორგანოს მიერ დაწესებული ხარჯით, ჯარიმით ან საურავით.
12.2.6. ნებისმიერი სხვა სახის დანაკარგით, თუ ზარალით.
12.3. ჩვენი ფინანსური ვალდებულების ლიმიტი ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში წარმოადგენს 500 (ხუთას) ლარს. უფლებამოსილნი ხართ, მოითხოვოთ ზარალის ანაზღაურება, თუ ჩვენს მიერ განზრახ დაირღვა წინამდებარე ზოგადი პირობები ან ხელშეკრულება.
12.4. კომპანია არ არის პასუხისმგებელი აპლიკაციის გამომყენებელი/სატრანსპორტო სერვისის მიმღები კლიენტებისა და მათი მგზავრების ქმედებებსა ან უმოქმედობებზე, შესაბამისად არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის დანაკარგსა თუ ზარალზე, რომელიც შესაძლოა წარმოგექმნათ თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედ მძღოლებს კლიენტების ან მათი მგზავრების მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად. .
12.5. თქვენ სრულად ხართ პასუხისმგებელი წინამდებარე ხელშეკრულების და/ან ნებისმიერი სხვა მოქმედი კანონმდებლობის ან რეგულაციის დარღვევაზე და აუცილებელიაBolt-სგან ან ნებისმიერი სახელმწიფო ან სხვა ორგანოსგან შესაბამისი მოთხოვნის მიღებისთანავე შეაჩეროთ და გამოასწოროთ არსებული დარღვევა. თქვენ წარმოგექმნებათ ვალდებულება აგვინაზღაუროთ ნებისმიერი პირდაპირი და/ან ირიბი ზარალი/ზიანი, მოგების დანაკარგი, დამატებითი ხარჯი, ჯარიმა, საურავი და/ან პირგასამტეხლო, რომელიც დაგვეკისრება თქვენს მიერ ზოგადი პირობების, ხელშეკრულების, მოქმედი კანონების და რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში თუ მგზავრი თქვენს მიერ განხორციელებულ სატრანსპორტო სერვისთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით წარმოადგენს პრეტენზიას/საჩივარს, თქვენ წარმოგექმნებათ ვალდებულება აანაზღაუროთ ასეთი ზარალი სრულად ჩვენ მიერ შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში. თუ Bolt-ს წარმოექმნება რაიმე პრეტენზია/საჩივარი თქვენს მიმართ, თქვენ გაქვთ ვალდებულება აუნაზღაუროთ Bolt-ს იურიდიული მომსახურების ყველა დანახარჯი, რომელიც უკავშირდება მიყენებულ ზიანს და ამ ზიანის კომპენსაციის მოთხოვნებს.
12.6 სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერს ეკისრება ექსკლუზიური პასუხისმგებლობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მძღოლები, რომლებიც მათი სახელით ახორციელებენ სატრანსპორტო მომსახურებას, შეესაბამებოდნენ ყველა შესაბამის კანონით დადგენილ რეგულაციას, ისევე როგორც შეთანხმებას არჩეული სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისა და გამოყენების შესახებ (მაგ., ლიცენზიები, დაზღვევა). და ა.შ.), ასევე, ყველა მოქმედ სამომხმარებლო კანონმდებლობას. **13. ვადა, შეჩერება და შეწყვეტა**
13.1. წინამდებარე ზოგადი პირობებით განსაზღვრული წესები ძალაში შედის რეგისტრაციის განაცხადის წარდგენიდან. ნებისმიერი სხვა პირობები, სახელმძღვანელო მითითებები და დოკუმენტები, რომლებიც შეთანხმების განუყოფელ ნაწილს შეადგენენ, ძალაში შევა მას შემდეგ, რაც თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდება კონკრეტული დოკუმენტი ან შეტყობინება და თქვენ დაიწყებთ ან გააგრძელებთ სატრანსპორტო სერვისების მიწოდებას Bolt პლატფორმის მეშვეობით.
13.2. თქვენ შეგიძლიათ შეწყვიტოთ წინამდებარე ხელშეკრულება ნებისმიერ დროს Bolt-თვის სულ მცირე 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, რის შემდეგაც შეგიწყდებათ Bolt აპლიკაციისა და მომსახურებების გამოყენების უფლება.
13.3. Bolt-ს უფლება აქვს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება და დაბლოკოს თქვენი წვდომა Bolt-ის პლატფორმაზე და წვდომა Bolt-ის დრაივერების პლატფორმაზე, რომელიც მოქმედებს

თქვენი სახელით წინასწარი შეტყობინების გარეშე, თუ თქვენ განმეორებით არღვევთ ან თქვენი სახელით მოქმედი მძღოლი განმეორებით არღვევს შეთანხმებას (ამ ზოგადი პირობების ჩათვლით), ან ირღვევა სახეზეა წინამდებარე ხელშეკრულების და/ან ნებისმიერი მოქმედი კანონის ან რეგულაციის დარღვევა, რომელიც ლახავს Bolt-ის ინტერესებს, ან ზიანს აყენებს Bolt-ის ბრენდს, რეპუტაციას ან ბიზნესს. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, Bolt-ს შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ, აგიკრძალოთ მძღოლის ახალი ანგარიშის ავტოპარკის მფლობელის პორტალის ახალი ანგარიშის რეგისტრაცია.

13.4. ჩვენ ასევე შეიძლება დაუყოვნებლივ შევაჩეროთ (დავბლოკოთ) თქვენი წვდომა ან იმ მძღოლის წვდომა, რომლებიც მოქმედებენ თქვენი სახელით Bolt-ის პლატფორმაზე, მათ შორის Bolt Driver-ის ანგარიშზე და ავტოპარკის მფლობელის პორტალზე გამოძიების წარმართვის პერიოდის განმავლობაში, თუ ეჭვი გვაქვს შესაძლო ხელშეკრულების პირობების დარღვევასთან ან თაღლითურ ქმედებასთან დაკავშირებით. წვდომაზე ბლოკირება მოიხსნება, მას შემდეგ, რაც გამოძიება გააქარწყლებს ამგვარ ეჭვებს.

13.5. Bolt-ის მიზანია უზრუნველყოს კლიენტებისთვის უმაღლესი ხარისხის მომსახურების შექმნა და სისტემაზე მძღოლების მოქმედების კოტროლი. თუ თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედი მძღოლი ვერ აკმაყოფილებთ მომსახურების მინიმალურ მოთხოვნებს, Bolt უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

13.6. დამატებითი მოთხოვნები და გარანტიები, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროკავშირის რეგულაციით ((EU) 2019/1150 (რეგულაციით)) გამოიყენება, როდესაც Bolt სერვისების უზრუნველყოფისას შეთანხმების შეწყვეტა ან Bolt პლატფორმაზე წვდომის სრულად დაბლოკვა გავლენას ახდენს სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერების ან მძღოლების უფლებებზე.

13.7. 13.6-ე ნაწილში მითითებულ სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერს უფლება აქვს გაასაჩივროს ხელშეკრულების შეწყვეტა ან Bolt პლატფორმის სერვისების შეჩერება Bolt-ის ბიზნეს მომხმარებლებისთვის საჩივრების განხილვის შიდა სისტემის მეშვეობით.

13.8. Bolt-ს უფლება აქვს გონივრული ვადით და წინასწარი გაფრთხილების შემდეგ შეაჩეროს აშკარად უსაფუძვლო შეტყობინებებისა და საჩივრების დამუშავება, რომელიც წარმოდგენილია მგზავრების, სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათი სახელით მოქმედი მძღოლების მიერ. შეტყობინების შეჩერების საფუძველი შესაძლოა იყოს შემდეგი:

13.8.1. ერთი თვის განმავლობაში წარმოდგენილ აშკარად უკანონო შინაარსის შემცველი აშკარად უსაფუძვლო შეტყობინებები ან საჩივრები;

13.8.2. საჩივარებისა და შეტყობინებების პროპორცია თვის განმავლობაში შემოსულ მთლიან ინფორმაციასთან ფარდობით

13.8.3. შეტყობინებების სისტემის, ანუ აღნიშნული მექანიზმების ბოროტად გამოყენების ხარისხი; და

13.8.4. (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მომჩივნის განზრახვა წარმოადგინოს აშკარად უსაფუძვლო საჩივრები.

13.9. Bolt-ს უფლება აქვს გონივრული ვადით და წინასწარი გაფრთხილების შედეგად შეაჩეროს საინფორმაციო საზოგადოების სერვისების მიწოდება სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერებისთვის, რომლებიც ხშირად აგზავნიან აშკარად უკანონო ინფორმაციას სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლის ან სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლის სახელით მოქმედი მძღოლების შესახებ Bolt-ის პლატფორმის გამოყენებით. შეჩერების საფუძველი შესაძლოა იყოს შემდეგი:

13.9.1. მოწოდებული ყალბი ინფორმაციის სიმძიმე; და

13.9.2. ინფორმაციის შინაარსის უკანონობის ხარისხი; და

13.9.3. (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლის განზრახვა წარმოადგინოს ზემოხსენებული ინფორმაცია.

14. ცვლილებები

14.1. Bolt იტოვებს უფლებას შეცვალოს ეს ზოგადი პირობები ნებისმიერ დროს განახლებული

ვერსიის ატვირთვით ძირითად ვებსაიტზე (https://bolt.eu/legal/) და ამის შესახებ შეგატყობინოთ (მაგ. ელ.ფოსტით, Bolt აპლიკაციით ან Bolt მძღოლის ანგარიშით), თუ Bolt-ი ჩათვლის, რომ ასეთი ცვლილება არსებითია და საჭიროებს შეტყობინებას.
14.2. Bolt-მა უნდა გაცნობოთ მინიმუმ 15 დღით ადრე (მაგ. ელექტრონული ფოსტით, Bolt აპლიკაციით ან Bolt მძღოლის ანგარიშით) იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს მძღოლების უფლებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:
14.2.1. Bolt ექვემდებარება იურიდიულ ან იმპერატიულ მარეგულირებელ ვალდებულებებს, რომლებიც მოითხოვს ზოგადი პირობების შეცვლას ისე, რომ არ შეესაბამება წინასწარი შეტყობინების დადგენილ პერიოდს;
4.2.2. აუცილებელია დაუყოვნებელი ცვლილებები ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან კიბერუსაფრთხოების რისკებთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი და მოსალოდნელი საფრთხეების აღმოსაფხვრელად, ან Bolt სერვისების, მგზავრების ან მძღოლების დასაცავად თაღლითობისგან, ზიანის მომტანი პროგრამისგან, სპამისგან ან მონაცემთა დარღვევისგან;
14.2.3. თქვენ გადაწყვიტეთ უარი თქვათ წინასწარ შეტყობინების პერიოდზე (მაგ., თუ თქვენ ან მძღოლები რომლებიც მოქმედებენ თქვენი სახელით, განაგრძობენ Bolt სერვისების გამოყენებას ცვლილების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ.
14.3. თუ თქვენ არ ეთანხმებით შესწორებებს ზოგად წესებსა და პირობებში ან ხელშეკრულების რომელიმე სხვა პირობებს, თქვენ გაქვთ უფლება შეწყვიტოთ ხელშეკრულება Bolt სერვისების გამოყენებით და/ან Bolt-ისთვის მომსახურების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გაგზავნით.ხელშეკრულების შეწყვეტა ძალაში შედის შემოთავაზებული შესწორების ძალაში შესვლის თარიღიდან, თუ თქვენს შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში სხვა რამ არ არის მითითებული. თუ ზემოხსენებული ცვლილებების ძალაში შესვლის შემდგომ თქვენ განაგრძობთ bolt პლათფორმის გამოყენებას თქვენ ავტომატურად ადასტურებთ და აცხადებთ თანხმობას, შეასრულოთ და დაიცვათ შეცვლილი წესები და პირობები.
15. მოქმედი კანონმდებლობა და სასამართლო იურისდიქცია
15.1. წინამდებარე ხელშეკრულება უნდა დარეგულირდეს, განიმარტოს და განხორციელდეს ესტონეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. თუ შეთანხმებიდან გამომდინარე შესაბამისი დავა (მათ შორის, ეს ზოგადი პირობები) ვერ გადაწყდა მოლაპარაკებებით, მაშინ დავა გადაწყდება ჰარჯუს საოლქო სასამართლოში.
16. შეტყობინებები
16.1. თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ აცნობოთ Bolt-ს თქვენს საკონტაქტო ინფორმაციაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ.
16.2. წინამდებარე ხელშეკრულებით მოთხოვნილი ნებისმიერი შეტყობინება სათანადოდ გაგზავნილად ჩაითვლება თუ;
16.2.1. გადაეცემა მოხდება პერსონალურად;
16.2.2.გაიგზავნება კურიერის საშუალებით გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულებით;
16.2.3. გაიგზავნება დაზღვეული ფოსტის მეშვეობით;
16.2.4. გაიგზავნება ელ-ფოსტით; ან
16.2.5. Bolt აპლიკაციიდან, ან Bolt მძღოლის ანგარიშიდან.
16.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც იგზავნება წინამდებარე მუხლის შესაბამისად, ჩაითვლება მიღებულად
16.3.1. თუ გადაცემა მოხდება პირადად.
16.3.2. თუ იგზავნება კურიერის საშუალებით, შეტყობინების შემცველი კონვერტის გადაეცემისას;
16.3.3. თუ იგზავნება დაზღვეული ფოსტით, დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება მხარისათვის ფოსტაში გაგზავნიდან მე-10 დღეს;
16.3.4. თუ შეტყობინება გაგზავნილია Bolt აპლიკაციის, ან Bolt მძღოლის პორტალის მეშვეობით;
16.3.5. ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის შემთხვევაში, დოკუმენტი მიწოდებულად ითვლება იმ დღეს, როდესაც მიმღები მხარე დაადასტურებს შესაბამისი ელ. ფოსტის მიღებას.

ალტერნატიულად, თუ დადასტურება არ მოხდება, შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება გაგზავნიდან მეორე დღეს. იმ შემთხვევაში თუ დადგინდება რომ არ მოხდა შეტყობინების შესახებ მეილის გამოგზავნა, ანუ, თუ დახარვეზდა აღნიშნული ჩვენ მეორე დღეს ვეცდებით ხელახლა გამოგიგზავნოთ შეტყობინება, თუ ამ შემთხვევაში გამოგზავნა იქნება წარმატებული, შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება.

17. საბოლოო დებულებები

იმ შემთხვევაში, თუ ზოგადი პირობების რომელიმე დებულება ბათილად იქნება ცნობილი, მხარეები ჩაანაცვლებენ მას მოქმედი/განახლებული დებულებით, რომელიც მიახლოებით ასახავს ბათილად ცნობილი დებულების მიზანს და ექნება მსგავსი/მიახლოვებული ეკონომიკურ ეფექტი.